

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 90
წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოცემა
Anniversary edition dedicated to the 90th anniversary of
Akaki Tsereteli State University
Юбилейное издание, посвященное 90-летию Государственного
университета Акакия Церетели

ISSN 2346-8467

აგრო
AGRO
АГРО
NEWS

№10

ქუთაისი – Kutaisi – Кутаиси
2023

ჟურნალი წარმოადგენს
იმერეთის აგროეკოლოგიური ასოციაციის კავშირისა და
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის
პერიოდულ-სამეცნიერო გამოცემას

სარედაქციო კოლეგია:

ლორთქიფანიძე როზა – (მთავარი რედაქტორი);

სანთელაძე ნატალია- (სწავლული მდივანი);

წევრები: პაპუნიძე ვანო; შაფაკიძე ელგუჯა; ასათიანი რევაზი; კოპალიანი როლანდი; ჯაბნიძე რევაზი; კინწურაშვილი ქეთევანი; ხასაია იზოლდა; ჭაბუკიანი რანი; ქობალია ვახტანგი; ფრუიძე მაყვალა; ჩახხიანი-ანასაშვილი ნუნუ; დოლბაია თამარი; ყუბანეიშვილი მაკა; კელენჯერიძე ნინო; ყიფიანი ნინო; ხელაძე მაია; კილასონია ემზარი; კეკელიშვილი მანანა; ჩხიროძე დარეჯანი; ჯობავა ტრისტანი; წიქორიძე მამუკა; თავბერიძე სოსო; თაბაგარი მარიეტა; კილაძე რამაზი; ბენიძე ეთერი; ჟორჯოლიანი ცირა; დუმბაძე გუგული; ნემსაძე მარიამი.

სარედაქციო კოლეგიის საზღვარგარეთის წევრები:

ჩუხნო ინა (უკრაინა); გოგთურქ თემალი (თურქეთი); თურგუტ ბულენტი (თურქეთი); ბელოკონევა-შიუკაშვილი მარინა (პოლონეთი); გასანოვი ზაური (აზერბაიჯანი); მამმადოვი რამაზანი (თურქეთი); სანტროსიანი გაგიკი (სომხეთი); სადინდიევი ულტემურატი (ყაზახეთი).

The magazine is a periodical scientific publication of
Imereti Agro-ecological Association and
Akaki Tsereteli State University Faculty of Agrarian Studies.

EDITORIAL BOARD

Lortkipanidze Roza– (Editor in Chief);

Santeladze Natalia– (Academic Secretary);

Members: Papunidze Vano; Shapakidze elguja; Asatiani Revaz; Kopaliani Roland; Jabnidze Revaz; Kintsurashvili Ketevan; Khasaia Izolda ; Chabukiani Rani; Qobalia Vaxtang; Fruidze Makvala; Chachkhiani-Anasashvili Nunu; Dolbaia Tamar; Kubaneishvili Maka; Kelendjeridze Nino; Kipiani Nino; Xeladze Maia; Kilasonia Emzar; Kevlishvili Manana; Chxirodze Daredjan; Jobava Tristan; Tsiqoridze Mamuka; Tavberidze Coco; Tabagari Marieta; Kiladze Ramaz; Benidze Eter; Zhorzholiani Tsira; Dumbadze Guguli; Nemsadze Mariam.

FOREIGN MEMBERS OF EDITORIAL BOARD

Chuxno Inna (Ykraine); Gokturk Temel (Turkey); Turgut Bulent (Turkey); Belokoneva-Shiukashvili Marina (Poland); Gasanov Zaur (Azerbaijan); Mammadov Ramazan (Turkey); Santrosian Gagik (Armenia); Sagyndykov Ultemurat (Kazakhstan).

Журнал представляет
Периодическое научное издание
Союза агроэкологической ассоциации Имерети и
Аграрного Факультета Государственного Университета Акакия Церетели

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Лорткипанидзе Роза – (главный редактор);

Сантеладзе Наталия – (Ученый Секретарь);

Члены: Папунидзе Вано; Шафакидзе Элгуджа; Асатиани Реваз; Копалиани Роланд; Джабнидзе Реваз; Кинцурашвили Кетеван; Хасая Изольда; Чабუкиანი Рани; Кобалия Вахтанг; Пруидзе Маквала; Чახჩიანი-ანასაშვილი ნუნუ; დობაია თამარ; Кубანეიშვილი Мака; Келенджеридзе Нино; Кипиани Нино; Хеладзе Маия; Киласония Эмзар; Кевлишвили Манана; Чхиродзе Дареджан; Джобавა Тристан; Цикоридзе Мамука; Тавберидзе Сосо; Табагари Мариета; Киладзе Рамаз; Бенидзе Етер; Жоржوليани Цира; Думбадзе Гугули; Немсадзе Мариам.

ЗАРУБЕЖНЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:

Чухно Инна (Украина); Гоктурк Темал (Турция); Тургут Булент (Турция); Белоконева-Шиукашвили Марина (Польша); Гасанов Заур (Азербайджан); Маммадов Рамазан (Турция); Сантросян Гагик (Армения); Сагиндигов Ултемурат (Казахстан)

თამილა არდემანაშვილი, ინგა გაფრინდაშვილი, ნანა ჯაბნიძე – კლიმატური ცვლილებების გავლენა აჭარის შავიზღვისპირა ტერიტორიაზე გავრცელებული ბუტია პალმის ტექნიკურ მახასიათებლებზე _____	9
ნინო კვლენჯერიძე, ნატალია სანთელაძე – ნიადაგური კვლევები დაფნის კულტურის გავრცელებისთვის (კახეთის რეგიონი, საქართველო) _____	12
როლანდ კოპალიანი, ანდრო ხეთერელი – “ფიზალისის (<i>physalis peruviana</i>) გავრცელების პერსპექტივები საქართველოში _____	16
Roland Kopaliani, Nino Kipiani – Results of Phenological Observation of Hybrid Relatives Obtained by Crossing with Spontaneous Mutants of Lemon Meyer Trifoliolate _____	20
როზა ლორთქიფანიძე, ნუნუ ჩაჩხიანი-ანასაშვილი, გიორგი იაკობაშვილი – ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებზე ქლიავის (<i>Prunus domestica</i>) სამრეწველო წარმოება იმერეთის რეგიონში _____	23
ნინო მარგველაშვილი – მიღწევები ცხოველთა ტრანსგენეზში _____	26
მაკა ყუბანეიშვილი – გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალო - სამკურნალო მცენარეები _____	36
ნანა ჯაბნიძე, რეზო ჯაბნიძე, ლაშა ზოიძე, ხათუნა ბოლქვაძე – აბორიგენული საღვინე ვაზის ჯიში „საწურის“ ფენოლოგიური დაკვირვების შედეგები ქედის მუნიციპალიტეტის პირობებში _____	42
ჯინჭარაძე ნატალია – ტუნგის ხე – ცხიმ-ზეთოვანი კულტურა, მისი აგროტექნოლოგია და სამრეწველო დანიშნულება _____	47
Tristan Jobava – Results of Studying the Intensity of Photosynthesis, Respiration Activity, Pigments and Sugars in Leaves of Lemon Dioskuria According to Periods _____	52
თამარ ხუციძე – ეკოლოგიურად სუფთა მწვანე ჩაის ხსნადი ექსტრაქტის სამკურნალო მეთოდები ინფიცირებული, ძნელად შესახორცებელი ჭრილობებისათვის _____	56

ნუნუ დიაკონიძე, ნინო ხონელიძე – ქუთაისის ბოტანიკური ბაღის
ფლორის გვიმრები _____ 61

ნანა გოგიშვილი – საქართველოში გავრცელებული ტყემლის ჯიშური ფორმების ქიმიურ-ტექნოლოგიური გამოკვლევა _____	71
ნანა გოგიშვილი – შრომის უსაფრთხოება ტურიზმის სფეროში, გამოწვევები, პრობლემები _____	78
ლუიზა გორგოძე, მარინა კუცია – ზამბახისებრთა (Iridaceae) ოჯახის ზოგიერთი იშვიათი, გადაშენებადი და ენდემური სახეობების ex-situ კონსერვაცია ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში და მათი გამოყენება დეკორატიულ მეზალოგიაში _	83
ეკატერინა გუბელაძე – ზოგიერთ ლამაზადმოყვავილე მერქნიანების ყვავილობა ქუთაისის ბაღებსა და სკვერებში _____	94
სოსო თავბერიძე, ემზარ კილასონია, შორენა კაპანაძე – სატრაქტორო აგრეგატის კინემატიკის ზოგიერთი საკითხი ფერდობული მიწათმოქმედების პირობებში _____	101
ეკატერინე კახნიაშვილი – მცენარეული ნედლეულით ჩაის პროდუქციის სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებების ამაღლება _____	107
ზაზა პაპიძე, შორენა ფხაკაძე – ინვერტორების როლი მზის ელექტროენერგეტიკული სისტემების გამართულ მუშაობაში _____	112
იზა ოჩხიკიძე – მცირე არქიტექტურული ფორმების როლი ლანდშაფტურ დიზაინში _____	118
ცირა ჟორჟოლიანი, ემზარ გორდაძე – ეკოლოგიური კრიზისი და მისი შედეგები _____	123
მაყვალა ფრუიძე, შორენა ჩაკვეტაძე, ეკატერინე ბენდელიანი – კენკროვანი მცენარეებისაგან ბალახოვანი ჩაის მიღების ტექნოლოგია	130
ნანა ქათამაძე – ხილის სხვადასხვა ჯიშების ხელოვნური შრობა _____	137
ქეთევან ქუთელია – ყვავილნარი ყვავილების გარეშე _____	142
ქეთევან ქუთელია – ბონსაის ხელოვნება _____	146
მამუკა წიქორიძე – ატომური ტექნიკის გამოყენება სოფლის მეურნეობის მექანიზაციასა და ელექტროფიკაციაში _____	151

მანანა კობახიძე, პაპუნა კუპრაშვილი – სამედიცინო ტურიზმი და საქართველო _____	157
სერგო ცაგარეიშვილი, მანანა კობახიძე – ისტორიულ-რომანტიკული ტური ქუთაისში _____	161

ეთერ ბენიძე, გიორგი კილაძე – მცენარეების მნიშვნელობა დასახლებული ტერიტორიების ტემპერატურული რეჟიმის ფორმირებაში _____	173
Kopalian Lia, Kiladze Giorgi, Ekaterine Arveladze, Liana Gogelia – Resort "Dzughuri" (source of immortality) its natural diversity, healing properties and the possibility of tourism development _____	181
Roza Lortkipanidze, Natalia Santeladze – Greenhouse gas emissions in Georgia's agroecological environment _____	184
აკაკი ნასყიდაშვილი – მთიანი აფხაზეთის ბუნება _____	186
ნინო მოწინიძე – მდინარე ხანისწყლის ხეობის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუჩქნარ-ბალახოვანი მცენარეულობა _	193
ქეთევან ჩიქვინიძე, ნინო მარგველაშვილი – რიდონეტით გამოწვეული ფიზიოლოგიური და გენეტიკური ცვლილებები სოიას ტესტ სისტემაში _____	197
მაია ხელაძე – წყლის რესურსების დაბინძურების გამომწვევი მიზეზები და შედეგები _____	207
გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, კონსტრუქტორი, პედაგოგი _	212
Prominent Georgian Scientist, Constructor, pedagogue _____	217

1

აგრარული მეცნიერებანი
AGRICAL SCIENCES
АГРАРНЫЕ НАУКИ



მიღწევები ცხოველთა ტრანსგენეზში

ნინო მარგველაშვილი

ბიოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

ტრანსგენური ცხოველები – ექსპერიმენტულად მიღებული ცხოველებია, რომლებიც შეიცავს ქრომოსომასთან ინტეგრირებულ დამატებით უცხო დნმ-ს (ტრანსგენს), რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემა. ტრანსგენური ცხოველების მიღების ტექნოლოგია ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი ბიოტექნოლოგიაა. განვითარების ბიოლოგიისა და გენეტიკური ინჟინერიის მჭიდრო კავშირმა განაპირობა ტრანსგენური ცხოველების მიღების მეთოდების შემუშავება. Pharming Europe-ს ლაბორატორიაში მიღებულ იქნა ხარი ჰერმანი, რომელიც შეიცავდა ადამიანის ლაქტოფერინის გენს; ტრანსგენეზის გზით მიღებულია ღორი – Enviropig, რომელიც სანერწყვე ჯირკვლებში შეიცავს ფერმენტ ფიტაზას; გენური ინჟინერიის გამოყენებით ორაგულის კვერცხში შეიტანეს თევზის ანტიფრიზული ცილის მკოდირებელი გენი, რამაც განაპირობა სიცივეგამძლე ორაგულის მიღება.

საკვანძო სიტყვები: გენური ინჟინერია, ტრანსგენეზი, ტრანსგენური ცხოველები, ტრანსგენი.

გენური ინჟინერია განიხილება როგორც მომავლის საკვანძო ტექნოლოგია, რომელიც განაპირობებს ცოცხალი ორგანიზმების მემკვიდრული მასალის მიმართულ ცვლილებას გენეტიკური მოდიფიკაციის გზით. გენური ინჟინერია გენის ბიოლოგიის ფუნდამენტური პრობლემების კვლევებში ყველაზე ეფექტურ ექსპერიმენტულ მიდგომას წარმოადგენს. ეკონომიკური სარგებელი, რომელიც დაკავშირებულია მცენარეთა და ცხოველთა ტრანსგენეზთან, იწვევს სასურსათო უსაფრთხოების გაზრდას.

ტრანსგენური ცხოველები – ექსპერიმენტულად მიღებული ცხოველებია, რომლებიც შეიცავს ქრომოსომასთან ინტეგრირებულ დამატებით უცხო დნმ-ს (ტრანსგენს), რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემა. ტრანსგენური ცხოველების მიღების ტექნოლოგია ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი ბიოტექნოლოგიაა. ტრანსგენური ცხოველები ფართოდ გამოიყენება როგორც თეორიული პრობლემების გადასაჭრელად, ასევე პრაქტიკული მიზნებისათვის ბიომედიცინასა და სოფლის მეურნეობაში. ტრანსგენური ცხოველების წარმოება ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესების, კვების გაუმჯობესების, გარემოს დაცვის, ცხოველების დაავადებისადმი მდგრადობის საშუალებას იძლევა (8; 15).

განვითარების ბიოლოგიისა და გენეტიკური ინჟინერიის მჭიდრო კავშირმა განაპირობა ტრანსგენური ცხოველების მიღების მეთოდების შემუშავება. დნმ-ის მიკროინექცია პირველი მეთოდია, რომელიც წარმატებით გამოიყენება ცხოველთა ტრანსგენეზში. შემდეგ შემუშავებული იქნა კიდევ ორი მეთოდი: ტრანსგენეზი რეტროვირუსებით და ტრანსგენეზი ემბრიონული ლეროვანი უჯრედებით. ტრანსგენური ტექნოლოგიების შემუშავება და სრულყოფა ხდება ლაბორატორიულ თავგებზე (14).

მიკროინექციის მეთოდი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:


1. კვერცხუჯრედების რიცხვის გაზრდა მდედრი-დონორების ჰიპეროვულაციის

სტიმულაციის გზით;

2.მდედრების მამრებთან შეჯვარება. კვერცხსავალებიდან განაყოფიერებული კვერცხუჯრედების გამორეცხვა;

3.განაყოფიერებულ კვერცხუჯრედებში დნმ-ის ინექცია.

სპერმატოზოიდის კვერცხუჯრედში შეჭრის შემდეგ მამრობითი პრონუკლეუსი და კვერცხუჯრედის ბირთვი განცალკავებულია. როგორც კი უკანასკნელი დაასრულებს გაყოფას და გარდაიქმნება მდედრობით პრონუკლეუსად, მოხდება კარიოგამია. მამრობითი პრონუკლეუსი მდედრობითზე დიდია და მასში შეაქვთ უცხო დნმ (სურ.1). დნმ-ს შეტანის შემდეგ მიკროქირურგიული გზით ახდენენ 25–40 ზიგოტის იმპლანტაციას სუროგატ დედაში, რომელშიც წინასწარ ცრუ ორსულობას იწვევენ. ამიტომ ემბრიონები მხოლოდ შეტანილი ზიგოტებიდან ვითარდებიან. სამი კვირის შემდეგ ჩნდება შთამომავლობა, რომელიც ფასდება უცხო გენების მატარებლობაზე. რადგან დნმ პირდაპირი გზით შეჰყავთ უჯრედში, ვექტორი საჭირო არ არის; ამდენად, ამ შემთხვევაში პროცესზე არ მოქმედებს უცხო გენეტიკური თანმიმდევრობა (1; 2).




სურ.1. მიკროინექცია

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გენეტიკური მოდიფიკაციების კიდევ ერთი მიდგომაა ტრანსგენეზში ემბრიონული ღეროვანი უჯრედების (ES) გამოყენება (სურ.2). კონკრეტულად, ბლასტოციტაში (ძუძუმწოვართა ჩანასახი, რომელიც ბლასტომერების ცხოველქმედების შედეგად წარმოქმნილი სითხით სავსე ღრუს – ბლასტოცელს შეიცავს; ბლასტოციტაში განირჩევა: უჯრედთა გარეთა შრე – ტროფობლასტი და შიგნითა უჯრედული მასა – ემბრიობლასტი) შეაქვთ გენეტიკურად მოდიფიცირებული ღეროვანი უჯრედები. ამისათვის ბლასტოციტის შიდაუჯრედული მასიდან ღეროვანი უჯრედების იზოლირებას და კულტურაში პროლიფერაციას ახდენენ. ასეთ უჯრედებს ახასიათებს პლურიპოტენტურობა – ნებისმიერი ქსოვილის უჯრედად განვითარება. გენური ინჟინერიის მეთოდების გამოყენებით ახდენენ ES-უჯრედების ტრანსფორმაციას, კულტივირებას და PCR-ით ან პოზიტიურ-ნეგატიური სელექციის მეთოდით იდენტიფიკაციას. მოდიფიცირებული უჯრედები შეაქვთ ბლასტოციტებში. უკანასკნელების იმ-

პლანტაცია ხდება სუროგატი დედების საშვილოსნოში (2; 12).

რეტროვირუსების გამოყენების მეთოდი გულისხმობს ემბრიონების ინპლანტაცი-
ამდე რეტროვირუსებით ინფიცირებას. აღნიშნული მეთოდის გამოყენება შეზღუდუ-
ლია ტრანსგენის ზომის გამო. რეტროვირუსული ვექტორების გამოყენებისას ჩანართის
ზომა დაახლოებით 8 ათ,წყ.ნ., რის გამოც ტრანსგენი შესაძლებელია დარჩეს მისი ექ-
სპრესიისათვის საჭირო რეგულატორული თანმიმდევრობების გარეშე. ამასთან, პრო-
ცესზე გავლენას ახდენს საკუთრივ ვირუსის გენეტიკური თანმიმდევრობაც, რაც ამ მე-
თოდის ნაკლად ითვლება (1; 2).



სურ.2. ტრანსგენური ცხოველების მიღება ES-უჯრედების ტრანსფექციით

დნმ-ტექნოლოგიების ერთ-ერთი სამიზნე მერძევეობის ინდუსტრიაა. ყველაზე

მძლავრი ცილის მასინთეზებული სისტემა სარძევე ჯირკვლების უჯრედებშია. თუ ვექტორში ჩართულია უცხო გენი კაზეინის პრომოტორის კონტროლით, მაშინ ამ გენის ექსპრესია იქნება მძლავრი და სტაბილური, ხოლო ცილა დაგროვდება რძეში. გენეტიკური კონსტრუქცია, რომელიც შეიცავს ტრანსგენსა და კაზეინის გენის პრომოტორს, შეკვავთ ზიგოტაში. გენეტიკურმა კონსტრუქციამ უნდა იმუშავოს მხოლოდ სარძევე ჯირკვლების უჯრედებში და მხოლოდ ლაქტაციის დროს (8).

მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ტრანსგენეზის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია – რძეში სხვადასხვა კომპონენტების შემცველობის შეცვლა. რძის მნიშვნელოვანი კომპონენტია კაზეინი. 2000 წელს კომპანია AgResearch-მა მიიღო პირველი ტრანსგენური ძროხები, რომლებიც აწარმოებდნენ მოდიფიცირებულ რძეს. უკანასკნელში გაზრდილი იყო β - და k -კაზეინი. ტრანსგენური ძროხები შეიცავდნენ შესაბამისი გენების დამატებით ასლებს. ვინაიდან k -კაზეინის გენი ხასიათდება ექსპრესიის შედარებით დაბალი დონით, ამიტომ ტრანსგენური ძროხის მისაღებად გამოიყენეს ქიმერული გენი, რომელიც შეიცავდა β -კაზეინის რეგულატორულ უბანს და k -კაზეინის მაკოდირებელ თანმიმდევრობას. ტრანსგენური ძროხების რძეში β -კაზეინის დონე გაიზარდა 20%-ით, ხოლო k -კაზეინის – 2-ჯერ (3; 11).

ჰერმანი იყო მსოფლიოში პირველი ტრანსგენური ხარი, რომელიც ჩაისახა სინჯარაში ფირმა Pharming Europe-ს ლაბორატორიაში. ტრანსგენური ხარი შეიცავდა ადამიანის ლაქტოფერინის გენს. ლაქტოფერინი რკინის შემცველი ცილაა, რომელიც მნიშვნელოვანია ბავშვთა ზრდისათვის. ჩვილები ლაქტოფერინს იღებენ დედის რძით. ჰერმანის ნაშიერი ძროხები პირველი ორგანიზმებია, რომლებიც გამოიმუშავებენ ხელოვნურად გაუმჯობესებულ რძეს (16).

ტრანსგენული ცხოველების რძე ფარმაცევტული ცილების ერთ-ერთი პოტენციური წყაროა. ამისათვის რძის ცილის გენის პრომოტორს უკავშირებენ სამიზნე გენის მაკოდირებელ თანმიმდევრობას. მაგალითად, ტრანსგენური თხის რძეში გამოიმუშავებული ერთ-ერთი ფარმაცევტული ცილა არის ანტითრომბინი III – ანტიკოაგულანტი (5).

ტრანსგენეზის შედეგად მიიღეს ღორები, რომელთა გენომი შემდეგ კონსტრუქციას შეიცავდა: ადამიანის β -გლობინის გენის რეგულატორული უბანი ღორის ჰემოგლობინის β -ჯაჭვის პრომოტორით, ადამიანის α -გლობინის ორი გენი და ადამიანის β -გლობინის ერთი გენი. ამ კონსტრუქციის ექსპრესიის შედეგად ღორის სისხლის უჯრედებში ადამიანის ჰემოგლობინი სინთეზდებოდა. ამასთან ადამიანის β -გლობინის პრომოტორის ღორის პრომოტორით შეცვლის შედეგად ადამიანის ჰემოგლობინი გაცილებით მეტი რაოდენობით წარმოიქმნებოდა. ტრანსგენური ღორების მიერ პროდუცირებულ ადამიანის ჰემოგლობინს ისეთივე ქიმიური თვისებები გააჩნდა, როგორც ბუნებრივს. ეს შედეგი მიუთითებს ტრანსგენეზის დროს გამოყენებული სისხლის ტრანსგენეზით მიღებული ადამიანის ჰემოგლობინით შეცვლის შესაძლებლობაზე (2).

დაავადებებისადმი მდგრადობა – ტრანსგენეზის გამოყენების კიდევ ერთი ასპექტია. მაგალითად, მსხვილი რქოსანი საქონლის მასტიტისაგან (ბაქტერიებით გამოწვეული სარძევე ჯირკვლების ანთეზა) მიღებული ზარალი აშშ-ში წელიწადში 1,7 მილიარდ დოლარს შეადგენს. სარძევე ჯირკვლების ინფიცირებას იწვევს ბაქტერია Staphylococcus

aureus. მეცნიერებმა შექმნეს ტრანსგენური ძროხები, რომლებიც ატარებდნენ Staphylococcus aureus-ის მონათესავე ბაქტერიის – Staphylococcus simulans-ის გენს, რომელიც აკოდირებს ლიზოსტაფინს. ლიზოსტაფინი ენდოპეპტიდაზაა, რომელიც ბაქტერიოციდული ეფექტით ხასიათდება - ის შლის ბაქტერიების უჯრედის კედელს. ლიზოსტაფინი ანადგურებს Staphylococcus aureus-ს. ეს პირველი ნაბიჯია, რომელიც გადაიდა მასტიტის გამომწვევი ბაქტერიების მიმართ მდგრადი ძროხების მიღების გზაზე (1; 4; 8).

მსხვილი რქოსანი საქონლის დაავადებაა ძროხის ცოფი. ამ დაავადების საწინააღმდეგოდ მიიჩნევა პრიონული ცილის გენის მოცილება, რადგან აღნიშნული ცილა არის დაავადების მიზეზი. ტრანსგენუზის გზით მიიღეს ამ დაავადებისადმი მდგრადი ძროხები (11).

მეცნიერთა დიდ ინტერესს იწვევს ობობას ქსელის ცილის პროდუცენტი ცხოველების შექმნა, ვინაიდან ობობას ქსელის ძაფი დედამიწაზე ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ძაფად არის მიჩნეული. თხების გენომში ობობას ქსელის ცილის გენის გადანერგვით, ამერიკელმა და კანადელმა გენეტიკოსებმა მიიღეს ტრანსგენური ცხოველები, რომლებიც ახდენენ „ბიოფოლადის“ – ობობას ქსელის ცილის შემცველი რძის პროდუცირებას. ტრანსგენურმა თხებმა სამიზნე გენი გადასცეს შთამომავლობას. შეიქმნა „მაფიანი რძის“ მწარმოებელი თხების მთელი ფარა. ასეთი რძიდან გამოყოფენ უცხო ცილას და იყენებენ ტყვიაგაუმტარი ჟილეტების და საოპერაციო ჭრილობის გასაკერი ძაფების წარმოებაში (სურ.3). „ბიოფოლადის“ მაპროდუცირებელი ტრანსგენური ცხვრების მისაღებად გამოიყენეს ოქროს აბრეშუმის ობობას (*Nephila clavipes*) ქსელის ცილის გენი (10; 17).

როგორც აღვნიშნეთ, ტრანსგენური ცხოველები გამოიყენება გარემოს დაცვის კუთხითაც. ღორის ნაკელი არის გარემოს ერთ-ერთი დამაბინძურებელი: ღორის ნაკელში ფოსფორის და აზოტის დონის შემცირება ამ დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი გზაა. ფოსფორი მნიშვნელოვანია ღორის ჯანსაღი ზრდისათვის. სამწუხაროდ, მარცვლეულში არსებული ფოსფორის 50-70% ფიტინის მჟავის სახით არის. უკანასკნელს ღორები ვერ გარდაქმნიან. ამის გამო ბევრი ფერმერი ღორის რაციონში ამატებს ფერმენტ ფიტაზას, რომელიც შლის ფიტინის მჟავას, რაც ეხმარება ღორებს საჭმლის მონელებაში. მაგრამ ფიტაზა ბევრი ფერმერისთვის მიუწვდომელია, რადგან ძვირია. ამ პრობლემის გადასაჭრელად შეიქმნა გენმოდიფიცირებული ღორი – Enviropig, რომელიც სანერწყვე ჯირკვალში ასინთეზებს ფერმენტ ფიტაზას, რაც გამორიცხავს საკვებში დამატებით დანამატებს. ფიტაზა მნიშვნელოვნად ამცირებს ფოსფორის ნაერთების შემცველობას ექსკრემენტებში. ფიტაზას გენი გადაეცემა შთამომავლობას (8;18).



სურ.3. ძაფის მიღება „ბიოფოლადიდან“.

მიიღეს ტრანსგენური ღორები, რომლებიც ახდენენ ფიტაზების, β -გლუკანების და ოლიგოსაქარიდების დამშლელი ფერმენტების (ფიტაზა, β -გლუკანაზა, ქსილანაზა) ექსპრესიას. მოდიფიცირებული ღორების ექსპრემენტები 24%-ით ნაკლებ აზოტს და 44%-ით ნაკლებ ფოსფორს შეიცავდა, ვიდრე იმავე რაციონზე მყოფი ღორების. აღსანიშნავია, რომ ასეთი ტრანსგენური ღორები უკეთ იზრდებოდნენ და წონაში უფრო სწრაფად იმატებდნენ. ეს უპირატესობა Enviropig - ს არ გააჩნდა (7).

მიმდინარეობს კვლევები ქსენოტრანსპლანტაციაში გამოსაყენებელი ტრანსგენური ცხოველების მისაღებად. ორგანოების ხელსაყრელი დონორია ღორი, ვინაიდან რიგი მაჩვენებლებით შეესაბამება ადამიანს. მაგრამ მისი ორგანოების გადანერგვა, გენეტიკური ტრანსფორმაციის გარეშე, შეუძლებელია, ვინაიდან პაციენტის იმუნური სისტემის ზემოქმედებით მოხდება გადანერგილი ორგანოს მოცილება. ასე რომ არ მოხდეს, უნდა შეიქმნას ტრანსგენური ღორი, რომელსაც „ნოკაუტირებული“ ექნება ჰისტოშეთავსებლობის შესაბამისი გენები, ხოლო მათ მაგიერ კი შეიყვანენ ადამიანის ჰისტოშეთავსებლობის გენებს. ტრანსგენური ღორების მიღება, რომლებშიც გენის ექსპრესიის პროდუქტი გადანერგვისას თრგუნავს ორგანოს მოცილების პროცესს, ადამიანის ორგანიზმში ცხოველის ორგანოების გადანერგვის შესაძლებლობას იძლევა (10).

ხერხემლიან ცხოველთა კიდევ ერთი ჯგუფი, რომელსაც შეეხო გენური ინჟინერია – თევზებია. მეთოდურად თევზის კვერცხუჯრედებთან მუშაობა არ არის რთული, ვინაიდან იმპლანტაციას არა აქვს ადგილი – თევზებში ემბრიოგენეზი ორგანიზმის გარეთ, წყლის გარემოში მიმდინარეობს. დნმ-ს შეყვანა შესაძლებელია მიკროინექციით. ტრანსგენური დნმ შეჰყავთ განაყოფიერებული კვერცხუჯრედების ციტოპლაზმაში, ან ემბრიონის უჯრედებში ოთხი ბლასტომერის სტადიაზე. ემბრიონების გადარჩენის ხარისხი მაღალია, 35–80%, ხოლო ტრანსგენური შთამომავლების წილი –10-70% (2).

მეცნიერებმა მიზნად დაისახეს მიეღოთ ტრანსგენური ორაგული ზრდის ჰორმონის გენით. ჩვეულებრივი ორაგული იზრდება მხოლოდ გაზაფხულზე და ზაფხულზე და მისი გამოზრდა მოიცავს 31–36 თვეს. გენმოდიფიცირებული ორაგული (სავაჭრო სახელწოდებაა AquAdvantage) იზრდება მთელი წლის განმავლობაში და საჭირო ზომას აღწევს 16–18 თვეში. შედეგად, თვითღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება (19).

AquAdvantage-ს (სურ.4) მისაღებად ატლანტიკური ორაგულის (*Salmo selar*) კვერცხუჯრედებში შეიყვანეს ტრანსგენი, რომელიც შემდეგი ელემენტებისაგან შედგებოდა: *Zoarces viviparus*-ის ანტიფრიზული ცილის გენის პრომოტორი, *Oncorhynchus tshawytscha*-ს ზრდის ჰორმონის გენი, *Zoarces viviparus*-ის ანტიფრიზული ცილის გენის ტერმინაცია/ პოლიადენილირების საიტები (2).



სურ.4. ტრანსგენური ორაგული AquAdvantage და ჩვეულებრივი ორაგული 18 თვის ასაკში

2015 წელს აშშ-ს სურსათისა და წამლების ხარისხის კონტროლის სააგენტომ (FDA) გასცა ლიცენზია AquAdvantage-ზე. FDA-ამ ვერ აღმოაჩინა განსხვავება ტრანსგენური ორაგულის კვებით ღირებულებასა და ჩვეულებრივი ორაგულის კვებით ღირებულებას შორის, გარდა ოდნავ მომატებული B6 ვიტამინის შემცველობისა. AquAdvantage-ს აქვს იგივე გემო, კონსისტენცია, ფერი და სუნი, როგორც ჩვეულებრივ ორაგულს. FDA-მ ასევე ვერ იპოვა მნიშვნელოვანი განსხვავება ბუნებრივი და ტრანსგენური ორაგულის ალერგენულ თვისებებში. გმ-ორაგული შეიცავს ზრდის ჰორმონის გაზრდილ რაოდენობას, მაგრამ ეს ჰორმონი მოქმედებს მხოლოდ თევზის ორგანიზმზე და არა ადამიანზე. ეკოლოგიურმა ექსპერტიზამ კი დაასაბუთა, რომ ტრანსგენური ორაგული მაგნეზე მოქმედებას არ მოახდენს გარემოზე.

აღსანიშნავია, რომ თევზების ტრანსგენეზში პერსპექტულ სტრატეგიად ითვლება ცილა-ანტიფრიზების (გაყინვის საწინააღმდეგო ცილები -ATP) მაკოდირებელი გენების გამოყენება. გაყინვის საწინააღმდეგო ცილები ბიოლოგიური ანტიფრიზებია, გლიკოპროტეიდები, რომელთა უმრავლესობა წარმოდგენილია დისულფიდური ხიდაკებით დაკავშირებული მსხვილი α -სპირალებით. აღნიშნული ცილების თვისებებია: ნუკლეაციის თავიდან აცილება, ყინულის კრისტალების ზრდის დამუხრუჭება, რეკრისტალიზაციის ინჰიბირება და უჯრედის მემბრანების დაზიანებისაგან დაცვა. ანტიფრიზული ცილების აღმოჩენა დაკავშირებულია არტურ დევრიზის სახელთან (მე-20-ე საუკუნის 60-იანი წლები). მან სპეციფიკური გლიკოპროტეიდი აღმოაჩინა ანტარქტიდული თევზის (*Chaenocephalus aceratus*) სისხლის შრატში (6; 9).

ჩვეულებრივი ორაგულები ვერ გამოიმუშავებენ გაყინვის საწინააღმდეგო პროტეინებს, ამიტომ ძალიან ცივ წყალში ისინი იღუპებიან. გენური ინჟინერიის მეთოდების გამოყენებით ორაგულის კვერცხში შეიტანეს თევზის ATP-ის მაკოდირებელი გენი, რამაც განაპირობა სიცივეგამძლე ორაგულის მიღება. კანადის აღმოსავლეთ სანაპირო ზო-

ლის წყლები, რომელიც ძალიან ცივია ორაგულის ველური სახეობისათვის, სამომავლოდ განიხილება როგორც ტრანსგენური ორაგულის ყინვაგამძლე სახეობის აკვაკულტურის პოტენციური ჰაბიტატი. ATP-ის გენის პრომოტორის თანამიმდევრობას იყენებენ გენურ ინჟინერიაში ტრანსგენის (მაგალითად, ორაგულის ზრდის ჰორმონის გენის) ექსპრესიის სტიმულაციისთვის (1; 2; 9).

მიღწევებმა გენურ ინჟინერიაში უნდა უზრუნველყოს ცხოველთა ტრანსგენების შემდგომი პროგრესი და, შესაბამისად, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ეფექტურობის და რენტაბელობის გაზრდა.

ამ ორგანიზმების გამოყენების საკითხთან დაკავშირებით ცხარე დისკუსიები იმართება. გენური ინჟინერიის მომხრეები ამ მიმართულებას მიიჩნევენ რევოლუციურ და ეკონომიკურად ეფექტურ გზად კაცობრიობის ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც დაკავშირებულია ჯანდაცვასთან, სოფლის მეურნეობის განვითარებასთან, კლიმატის ცვლილებებთან, სარეველებთან ბრძოლასთან. გმო-ს ოპონენტები ამტკიცებენ, რომ გენმოდირებული პროდუქტების გამოყენება დაკავშირებულია რიგ რისკებთან და მხარს უჭერენ შეზღუდვებს ამ პროდუქტების გამოყენებაზე (3; 13; 21).

გამოყენებული ლიტერატურა

1. თიმენი.უ., პალადინო მ. ბიოტექნოლოგიის შესავალი; მეორე გამოცემა, ივანე ჯავახიშვილის სახ.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამ-ბა,2015.
2. მარგველაშვილი ნ., ჯულაყიძე ნ. გენმოდირებული საკვები და გარემოს უსაფრთხოება, ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2012.
3. Brophy Brigid, Smolenski Grant and other. Cloned transgenic cattle produce milk higher levels of β -casein and kappe-casein. Nat.Botecnol.2003,21 (2).
4. Daniell Henry, Kumar Shashi, Dufair-mantel Nathalie. Breakthrough in chloroplast genetic enjineering of agronomically important crops. Trends Biotechnol.2006 May:23(5).
5. Houdebine L-M. Production of pharmaceutical proteins by transgenic animals. Rev. Sci. Tech.20018.Apr;37(1).
6. Naing Aung Htay and Kim Chang Kil. A brief review of applications of antifreeze proteins in cryopreservation and metabolic genetic engineering. Biotech.2019 Sep:9(9).
7. Peterson Bjorn. Transgenic pigs to the rescue; eLife,2017,7.
8. Wheeler Matthew B. Transgenic Animals in Agriculture. Nature Education Knowledge,2013,4(11).
9. Бильданова Л., Салина Л., Шумный В. Основные свойства и особенности эволюции антифризных белков. Вавиловский журнал генетики и селекции,2012,т.16,№1.
10. Загоскина н.,Назаренко Л.и др .Биотехнология: теория и практика, М.ОНИКС,2009.
11. Максименко О., Дейкин А. и др. Использование трансгенных животных в биотехнологии: перспективы и проблемы,2012.
12. Песнякевич А. Трансгенные эукариотические организмы,2017.
13. www.nature.com/articles/nrg2386
14. <https://people.ucalgary.ca/~browder/transgenic.html>
15. <https://ria.ru/20100630/251341203.html>
16. <https://www.expatica.com/nl/uncategorized/herman-the-bull-heads-to-greener-pastures-40459/>

17. <https://postnatural.org/Specimen-Vault/Biosteel-Goat>
18. <https://www.sciencedaily.com/releases/2013/03/130307124802.htm>
19. <https://medium.com/@tlitvinienko/%D1%82%D1%80%D0%B0%D0%BD%D1%81%D0%B3%D0%B5%D0%BD%D0%BD%D1%8B%D0%B9-%D0%BB%D0%BE%D1%81%D0%BE%D1%81%D1%8C-%D0%BF%D1%80%D0%BE%D1%85%D0%BE%D0%B4%D0%B8%D1%82-%D0%BF%D0%BE%D1%80%D0%BE%D0%B3%D0%B8-5f01892f714a>
20. <https://uifsa.ua/ru/news/world-news/a-revolution-in-salmon-farming>
21. www.fao.org/3/x9602e/x9602e07.htm

სურათები

სურ.1;2. <https://studfile.net/preview/1150606/page:5/>

სურ.3. <https://postnatural.org/Specimen-Vault/Biosteel-Goa>

სურ.4.

<https://medium.com/@tlitvinienko/%D1%82%D1%80%D0%B0%D0%BD%D1%81%D0%B3%D0%B5%D0%BD%D0%BD%D1%8B%D0%B9-%D0%BB%D0%BE%D1%81%D0%BE%D1%81%D1%8C-%D0%BF%D1%80%D0%BE%D1%85%D0%BE%D0%B4%D0%B8%D1%82-%D0%BF%D0%BE%D1%80%D0%BE%D0%B3%D0%B8-5f01892f714a>

Advances in Animal Transgenesis

Nino Margvelashvili

Doctor of Biology, Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Transgenic animals are experimentally produced animals that contain additional foreign DNA (transgene) integrated into the inherited chromosome. The technology of producing transgenic animals is one of the fastest-developing biotechnologies. The close relationship between developmental biology and genetic engineering has led to the development of methods for producing transgenic animals. In the laboratory of Pharming Europe, a bull Herman was produced, which contained the human lactoferrin gene; a pig - Enviropig, which synthesizes the enzyme phytase in the salivary gland, was obtained through transgenesis; using genetic engineering, a gene encoding a fish antifreeze protein was inserted into salmon eggs, which led to cold-resistant salmon.

Keywords: genetic engineering, transgenesis, transgenic animals, transgene.

Genetic engineering is considered a key technology of the future, which leads to the directed change of the hereditary material of living organisms through genetic modification. Genetic engineering is the most effective experimental approach in researching fundamental problems of gene biology. The economic benefits associated with plant and animal transgenesis lead to increased food security.

Production of transgenic animals allows improvement of human health and nutrition, protection of the environment, and resistance to animal diseases.

The close relationship between developmental biology and genetic engineering led to the development of methods for producing transgenic animals. DNA microinjection is the first method successfully used in animal transgenesis. Then two more methods were developed: transgenesis with retroviruses and transgenesis with embryonic stem cells.

One of the main goals of cattle transgenesis is to change the content of various components in milk. Casein is an important component of milk. In 2000, the company AgResearch received the first transgenic cows that produced modified milk. In the latter, the content of β - and κ -casein was increased.

Herman was the world's first transgenic bull, which was germinated in a test tube in the laboratory of Pharming Europe. The transgenic bull contained the human lactoferrin gene. Lactoferrin is an iron-containing protein that is important for the growth of children.

The milk of transgenic animals is one of the potential sources of pharmaceutical proteins. To do this, the promoter of the milk protein gene is linked to the coding sequence of the target gene. For example, one of the pharmaceutical proteins produced in transgenic goat's milk is antithrombin III - anticoagulant.

As a result of transgenesis, pigs were produced whose genome contained the following construct: the regulatory region of the human β -globin gene with the pig hemoglobin β -chain promoter, two human α -globin genes and one human β -globin gene. As a result of the expression of this construct, human hemoglobin was synthesized in pig blood cells.

Resistance to diseases is another aspect of the use of transgenesis. Scientists created transgenic cows that carried the gene of *Staphylococcus simulans*, a bacterium related to *Staphylococcus aureus*, which encodes lysostaphin. Lysostaphin is an endopeptidase, which is characterized by a bactericidal effect - it dissolves the cell wall of bacteria. Lysostaphin destroys *Staphylococcus aureus*.

